ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4435551

ნომერი: AR1670309

თარიღი : 25.03.2019

გაცემის თარიღი : 28.03.2019

გაცნობის თარიღი : 01.04.2019

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მეფე მირიანის , N 11ბ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ხიზანიშვილი პ/ნ 01022009568
- თბილისი დ.გურამიშვილის გამზ. N 39ვ ბ. 71

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- III კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 394750
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 10.05.2013

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:
თქვენი 2019 წლის 25 მარტის №AR1670309 განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში,ქუჩა მეფე მირიანის N11ბ-ში განხორციელებული მშენებლობის ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობის დადასტურებას, გაცნობებთ, რომ „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 62-ე მუხლის პირველი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, თუ წარმოებული მშენებლობის შედეგად სამშენებლო დოკუმენტში განხორციელდა ცვლილებები, რაც საჭიროებს მშენებლობის ახალ ნებართვას, თუმცა სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია და დამკვეთს უარი ეთქვა შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებაზე, დამკვეთის მიერ ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მშენებლობის ნებართვის გამცემ ორგანოში წარდგენის შემდეგ აღნიშნული ორგანო უფლებამოსილია იმსჯელოს მშენებლობის ნებართვის გაცემის გარეშე უკვე განხორციელებული მშენებლობის ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობასა და მისი დასაშვებობის დადასტურებაზე.
აღნიშნულიდან გამომდინარე, მთავარ დოკუმენტს, რომელის საფუძველზეც და რომლის წარმოდგენის შემდგომაც არის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური უფლებამოსილი იმსჯელოს განხორციელებული მშენებლობის ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობასა და მისი დასაშვებობის დადასტურებაზე, წარმოადგენს ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.
თქვენს განცხადებაზე არ არის წარმოდგენილი ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და არც სხვა რაიმე დოკუმენტაცია მინდობილობის გარდა. სამსახურის მიერ დადგენილ იქნა, ასევე ის გარემოება, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ აღნიშნულ ობიექტზე ამ დროისთვის არ არის გამოცემული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და ვინაიდან ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის წარმოდგენის შემდეგ არის სამსახური უფლებამოსილი იმსჯელოს საკითხზე, ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციის მიერ არ არის გამოცემული ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, სამსახურმა მიიღო გადაწყვეტილება თქვენი 2019 წლის 25 მარტის №AR1670309 განცხადების განუხილველად დატოვების თაობაზე.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.